

სს „პსლ და კმლ“
საიდენტიფიკაციო კოდი: 400 279 337
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	14
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	16
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	18
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	19
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „პსლ და კმლ“ (ს/კ 400 279 337) დამფუძნებელს.

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „პსლ და კმლ“ და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში ტექსტში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „პსლ და კმლ“ (ს/კ 400 279 337) დამფუძნებელს.

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „პსლ და კმლ“ და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში ტექსტში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფას სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს

+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113

contacts@bakashviliandco.com

ARAS - F - 887264 Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 42 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

0177 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10

47, Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia

bakashviliandco.com



Independent member
Morison Global

(„ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2022 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

(„ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2022 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113

contacts@bakashviliandco.com

ARAS - F - 887284

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 42 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს bakashviliandco.com

0177 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10

47, Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia



Independent member
Morison Global

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასის სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113

contacts@bakashviliandco.com

ARAS - F - 887254 Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 42 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

0177 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47ბ. 10

47, Al Kozbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia

bakashviliandco.com



Independent member
Morison Global

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113

contacts@bakashviliandco.com

61 Page
ARAS - F - 887294

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 42 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

0177 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10

47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia

contacts@bakashviliandco.com



Independent member
Morison Global

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113

contacts@bakashviliandco.com

ARAS - F - 8872741 P a g e

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 42 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს bakashviliandco.com

0177 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10

47, Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia



Independent member
Morison Global

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს გიორგი გულუა, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-106751.

გიორგი გულუა

აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global“-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

25 სექტემბერი, 2023 წელი

ქ. თბილისი, საქართველო



დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს გიორგი გულუა, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-106751.

გიორგი გულუა

აუდიტორული ფირმა „ბაკშვილი და კომპანია“ (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global“-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

25 სექტემბერი, 2023 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113

contacts@bakashviliandco.com

SARAS - F - 887264

0177 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47, ბ. 10

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაცია „Morison Global“

bakashviliandco.com



Independent member
Morison Global

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021
საინვესტიციო ქონება	5	76,689	86,123
ძირითადი საშუალებები	6	4,649	4,002
არამატერიალური აქტივები	-	7	7
იდენტიფიცირებული არამატერიალური აქტივი, მომხმარებელთან საკონტრაქტო ურთიერთობები	-	2,294	2,294
გუდვილი	-	3,207	3,207
სულ გრძელვადიანი აქტივები:		86,846	95,633
გადახდილი ავანსები	9	30	63
მარაგები	8	1,368	1,032
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	399	350
მიმდინარე სასესხო მოთხოვნები	7	272	308
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	7,441	2,740
სულ მიმდინარე აქტივები:		9,510	4,493
სულ აქტივები:		96,356	100,126
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:			
მფლობელთა კაპიტალი			
მფლობელთა საწესდებო კაპიტალი	11	-	-
გადაფასების რეზერვი	-	20,555	29,033
გაუნაწილებელი მოგება	-	27,442	17,252
სულ მფლობელთა კაპიტალი:		47,997	46,285
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულება	-	27,336	34,874
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		27,336	34,874
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	20,768	18,757
საგადასახადო ვალდებულებები	14	251	206
მიღებული ავანსები	12	4	4
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		21,023	18,967
სულ ვალდებულებები:		48,359	53,841
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:		96,356	100,126

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 25 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი: პაატა კაჭარავა

სს „პსლ და კმლ“ (400 279 337)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია 1000 ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021
საინვესტიციო ქონება	5	76,689	86,123
ძირითადი საშუალებები	6	4,649	4,002
არამატერიალური აქტივები	-	7	7
იდენტიფიცირებული არამატერიალური აქტივი, მომხმარებელთან საკონტრაქტო ურთიერთობები	-	2,294	2,294
გუდვილი	-	3,207	3,207
სულ გრძელვადიანი აქტივები:		86,846	95,633
გადახდილი ავანსები	9	30	63
მარაგები	8	1,368	1,032
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	399	350
მიმდინარე სასესხო მოთხოვნები	7	272	308
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	7,441	2,740
სულ მიმდინარე აქტივები:		9,510	4,493
სულ აქტივები:		96,356	100,126
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:			
მფლობელთა კაპიტალი			
მფლობელთა საწესდებო კაპიტალი	11	-	-
გადაფასების რეზერვი	-	20,555	29,033
გაუნაწილებელი მოგება	-	27,442	17,252
სულ მფლობელთა კაპიტალი:		47,997	46,285
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულება	-	27,336	34,874
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		27,336	34,874
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	20,768	18,757
საგადასახადო ვალდებულებები	14	251	206
მიღებული ავანსები	12	4	4
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		21,023	18,967
სულ ვალდებულებები:		48,359	53,841
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:		96,356	100,126

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 25
სექტემბერს.

გენერალური დირექტორი: პაატა კაჭარავა

ს.  

**კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები (მომსახურებიდან)	15	14,659	14,285
საერთო მოგება:		14,659	14,285
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	16	(4,882)	(4,501)
გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი	17	(18)	(24)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		9,759	9,760
არასაოპერაციო შემოსავალი	19	329	98
არასაოპერაციო ხარჯი	19	(104)	(72)
ფინანსური შემოსავალი	18	630	118
ფინანსური ხარჯი	18	(42)	(111)
მოგება დაბეგვრამდე		10,572	9,793
მოგების გადასახადი ხარჯი	20	(57)	-
წმინდა მოგება		10,515	9,793
სხვა სრული შემოსავალი		-	-
გადაფასების რეზერვი	-	(8,478)	10,434
სხვა სრული შემოსავალი		2,037	20,227

**კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

	მფლობელთა საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
31.12.2020	-	18,599	7,459	26,058
წმინდა მოგება	-	-	9,793	9,793
სხვა სრული შემოსავალი	-	10,434	-	10,434
დივიდენდი	-	-	-	-
31.12.2021	-	29,033	17,252	46,285
წმინდა მოგება	-	-	10,515	10,515
სხვა სრული შემოსავალი	-	(8,478)	-	(8,478)
დივიდენდი	-	-	(325)	(325)
31.12.2022	-	20,555	27,442	47,997

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	20,402	17,580
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(12,107)	(11,729)
სხვა ხარჯები	(6)	(5)
სხვა შემოსავლები	67	1
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	8,356	5,847
საბიუჯეტო გადასახდელები	(3,025)	(2,911)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	5,331	2,936
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
საინვესტიციო ქონების შეძენა (მიწა და სხვა)/კაპიტალიზება	-	(20)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(953)	(1,443)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(953)	(1,463)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდი	(308)	-
მიღებული პროცენტი	630	57
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	322	57
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ზრდა	4,700	1,530
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შედეგი	-	(45)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ზრდა	4,700	1,485
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში:	2,740	1,255
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს:	7,441	2,740

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „პსლ და კმლ“ (შემდგომში ტექსტში „ჯგუფი“) სააქციო საზოგადოებაა, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 11 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ქ. №2/9. საიდენტიფიკაციო კოდი: 400 279 337.

კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი კომპანია, რომლის დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნა N 2-ში.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდგომ „ფასს სტანდარტები“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

ფინანსური ანგარიშგების ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება. იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- სამართლიანი ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით
- სამართლიანი ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

წარმოდგენილ პერიოდში ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ჯგუფის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება. ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით):

ა) თუ ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;

ბ) თუ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ფასს 9-ის მოთხოვნები უფრო მეტად იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს-15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას, რომლებიც არ არიან შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარებისას ჯგუფი აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე, რომლის გამოიყენა ხდება სამდონედ:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (1 დონე), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2);
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში. შვილობილი არის ყველა კომპანია, რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს. შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან.

2022 წლის 31 დეკემბრის (2021 წლის 31 დეკემბერი) ერთადერთ შვილობილ კომპანიას, რომლის დეტალები მოცემულია ქვემოთ:

შვილობილი კომპანია	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	ფლობა	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს საბა & ლუკა	11.12.2019	11.12.2019	100%	საიჯარო მომსახურება	საქართველო

სრულად ელიმინირებულია ყველა შიდა ჯგუფური ტრანზაქცია, ბალანსები და ჯგუფის შიგნით ტრანზაქციიდან მიღებული არარეალიზებული მოგება, ასევე ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ მოიცავს მტკიცებულებას რომ გადაცემული აქტივი გაუფასურებულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად.

კონტროლის მოპოვება შპს „საბა & ლუკაზე“ განისაზღვრა, როგორც საწარმოთა გაერთიანება და აღიარებულია შეძენის მეთოდით ფასს 3-ის შესაბამისად. საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული იდენტიფიცირებული შემენილი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია შეძენის თარიღისათვის სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვის მომენტში შვილობილი კომპანიის იდენტიფიცირებული ნეტო აქტივების სამართლიანი ღირებულების გადამეტება შესყიდვის ღირებულებაზე აღიარებულია გუდვილის სახით.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში აღირიცხება თვითღირებულებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. დივიდენდები შვილობილი კომპანიიდან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შეადგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი ფლობს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

მოთხოვნების გაუფასურება. ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ჯგუფი აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი წარედგინება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მათი მოკლევადიანი ბუნების გამო სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებად მიჩნეულია მათი სამართლიანი ღირებულება.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზდება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და

კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

უცხოური ვალუტა და უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2,7020 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2,8844 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3,0976 და ერთი ევრო 3,5040 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს შესაბამისი კურსით.

საკუროს სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება წარმოადგენს მიწის ნაკვეთს ან შენობას ან შენობის ნაწილს, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღებას ან კაპიტალის შეფასებას და არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ, ასევე არ ხდება მისი გაყიდვა ბიზნესის საწარმოო ციკლში. საკუთრება, რომელიც შენდება მომავალი მოხმარებისთვის, კლასიფიცირდება როგორც საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლების მიღება და/ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2022 წლის ბოლოს ჯგუფმა განსაზღვრა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არდაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალება შედგება რამდენიმე არსებითი კომპონენტისგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა -დანადგარები	5-დან 13 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

არამატერიალური აქტივები. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას აისახება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ითვლება სასრულად და განისაზღვრება 15 წლით არამატერიალური აქტივების ყველა კატეგორიისთვის. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში და გაუფასურებაზე მოწმდება ყოველთვის, როდესაც ჩნდება არამატერიალური აქტივის გაუფასურების ნიშანი. სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამორტიზაციის პერიოდის, ან მეთოდის შეცვლა ხდება, როდესაც არის ცვლილება მოსალოდნელ სასარგებლო მოხმარების ვადაში, ან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ სქემაში და განიხილება როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში. სასრული მოხმარების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების ნაწილად, რაც არამატერიალური აქტივების ფუნქციის შესაბამისია.

ჯგუფის სარგებლობაში მყოფ არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა.

მარაგი. მარაგები არის აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამება ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

მფლობელთა კაპიტალი. მფლობელთა საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის სამართლიანი ღირებულებით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი გამოიყენება მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას.

მოგების გადასახადი. მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი/(ანაზღაურებადი) წლის შემოსავალზე/ (ზარალზე), საანგარიშო თარიღის შესაბამისად არსებული ან სპეციალურად დადგენილი გადასახადის განაკვეთების გამოყენებით, ასევე წინა წლებში არსებული გადასახადების ნებისმიერი კორექტირების გათვალისწინებით.

2017 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დავიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა), ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი), გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა.

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადი. შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება : (ა) მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის, ან მომსახურების გაწევამდე მიღებული ავანსი, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლისთვის. დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საგადასახადო აქტივის, ან საგადასახადო ვალდებულებების მუხლში.

ამონაგები. ამონაგები აღიარდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, მომხმარებლისთვის დაპირებული სერვისის მიწოდებით.

ჯგუფი აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებებს ანაზღაურებულად (წინასწარ ანაზღაურებულად) საკონტრაქტო შეუსრულებელი სამუშაოების მიხედვით და ამ თანხებს აფიქსირებს, როგორც მიღებული ავანსები კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მსგავსად, თუკი ჯგუფი შეასრულებს კონტრაქტის ვალდებულებებს, მანამ, სანამ მიიღებს ანაზღაურებას, ჯგუფი აღიარებს მას, როგორც მოთხოვნას კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმის მიხედვით, არის თუ არა დრო ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი.

ამონაგების აღიარებისას ჯგუფი განიხილავს ხუთ საფეხურიან პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე
5. ამონაგების აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

ჯგუფი, როგორც მეიჯარე. ჯგუფის საადრიცხო პოლიტიკა ფასს 16-ის მიხედვით, არ შეცვლილა შესადარის პერიოდებში.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუკი იგი გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს განსაზღვრული აქტივის მფლობელს, ხოლო თუ არ გადასცემს, მაშინ იგი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე, გამოყოფს მხოლოდ საოპერაციო იჯარას.

ხარჯის აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმიანობის შედეგად, როდესაც:

ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების, ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით საწარმომ სხვა მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში თავის თავზე აიღებს გარკვეულ ვალდებულებებს, და

ბ) შედეგად საწარმომ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

დასაქმებულთა გასამრჯელოები. გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფის დასაქმებულები. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

ბალანსის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

3. სააღრიცხვო შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან. კერძოდ, გასცემს ხელფასებსა და მოკლევადიან ბონუსებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა. თითოეულ საანგარიშო დღეს ჯგუფი აფასებს, ხომ არ არის იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივების აღდგენადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას ჩამოუვარდება.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

4. ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არის გამოცემული, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი აპირებს მიიღოს აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ისინი ძალაში შევა.

წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 - ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად.

ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდა მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის. ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა. ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობითი ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ

ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შემენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემენმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შემენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული. ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელი საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში. ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა მიღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა. ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შესძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეფასება ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ. ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას.

ჯგუფი არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს მატერიალური გავლენა ექნებათ მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო

პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. ჯგუფი არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს მატერიალური გავლენა ექნება მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. ჯგუფი არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს მატერიალური გავლენა ექნება მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოსალოდნელია არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა- ნაგებობა
31.12.2020	41,602	35,527
შესყიდვები/ კაპიტალიზაცია	52	385
გადაფასების კორექტირება	9,653	775
ცვეთის ანულირება	-	(1,305)
31.12.2021	51,307	35,382
შესყიდვები/ კაპიტალიზაცია	-	998
გადაფასების კორექტირება	(15,445)	6,756
ცვეთის ანულირება	-	(1,687)
31.12.2022	35,862	41,449

ცვეთა და გაუფასურება		
31.12.2020	-	(98)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(1,773)
ცვეთის ამოტრიალება	-	1,305
31.12.2021	-	(566)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(1,743)
ცვეთის ამოტრიალება	-	1,687
31.12.2022	-	(622)
31.12.2021		86,123
31.12.2022		76,689

საინვესტიციო ქონება გადაფასებული ღირებულებით ფასდება. განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ჯგუფი საინვესტიციო ქონებას სამართლიანი ღირებულებით აფასებს. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ჩვეულებრივი გარიგების პირობებში.

შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური კატეგორიისა და ადგილმდებარეობის ქონების შეფასებაში. გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები და შეფასება შეესაბამება ფასს 13-ის პრინციპებს.

6. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	მრავალწლიანი ნარგავები	მანქანა-დანადგარები*	ოფისის ინვენტარი ტექნიკა ავეჯი და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.12.2020	1,496	27	561	1,432	841	4,357
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	44	-	687	194	704	1,629
გადაფასების კორექტირება	4	-	-	-	-	4
ცვეთის ატრიალება	(75)	-	(12)	(31)	(23)	(141)
გაყიდვები/ჩამოწერა	-	-	-	(1)	(75)	(76)
31.12.2021	1,469	27	1,236	1,594	1,447	5,773
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	2	-	740	148	77	967
გადაფასების კორექტირება	211	-	-	-	-	211
ცვეთის ატრიალება	(73)	-	(3)	(73)	(24)	(173)
გაყიდვები/ჩამოწერა	-	-	(1)	(18)	-	(19)
31.12.2022	1,609	27	1,972	1,651	1,500	6,759

ცვეთა და ამორტიზაცია

31.12.2020	-	(5)	(204)	(976)	(330)	(1,515)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	(75)	(2)	(50)	(112)	(158)	(397)
აფასების მომენტში ცვეთის ანულირება	75	-	-	-	-	75
ჩამოწერის მომენტში დაგროვილ. ცვეთა	-	-	12	31	23	66
31.12.2021	-	(7)	(242)	(1,057)	(465)	(1,771)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	(73)	(2)	(110)	(121)	(207)	(513)
აფასების მომენტში ცვეთის ანულირება	73	-	-	-	-	73
ჩამოწერის მომენტში დაგროვილ. ცვეთა	-	-	3	73	24	100
31.12.2022	-	(9)	(349)	(1,105)	(648)	(2,111)

საბალანსო ღირებულება

31.12.2021	1,469	20	994	537	982	4,002
31.12.2022	1,609	18	1,623	546	852	4,649

ცვეთის ხარჯი აღიარდება ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ხარჯებში შენიშვნა N 16.

* ჯგუფი საკუთარი ძალებით აშენებს მიკრო ელექტრო სადგურს, რომლის საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,300 ათას ლარს (მანქანა-დანადგარების მთლიანი საბალანსო ღირებულება - 1,623 ათასი ლარი).

7. მიმდინარე სასესხო მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
საწყისი ღირებულება	308	320
პროცენტის დარიცხვა	-	4
კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული შედეგი	(36)	(16)
სულ სასესხო მოთხოვნები:	272	308

8. მარაგები

	31.12.2022	31.12.2021
გასაყიდად განკუთვნილი მარაგი	653	663
მარაგები/ნედლეული და მასალები	678	349
სხვა სათადარიგო მარაგები	37	20
სულ მარაგი	1,368	1,032

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები/ავანსები

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	496	527
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(127)	(177)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	30	-
სულ მოთხოვნები:	399	350

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები შესადარის პერიოდებში გაუფასურების ინდიკატორად განიხილებოდა. საექვო მოთხოვნების რეზერვი ასახულია ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ხარჯებში.

სავაჭრო მოთხოვნები ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ვადაგადაცილებული და გაუფასურების გარეშე	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე	216	169
0-30 დღე	2	9
31 to 90 დღე	5	8
91 to 180 დღე	9	10
181 to 360 დღე	16	26
>361 დღე	248	305

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები იხილეთ შენიშვნა N 22.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1	3
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	7,366	2,383
ფული სალაროში ლარში	74	354
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,441	2,740

11. მფლობელთა კაპიტალი

ა) საწესდებო კაპიტალი- საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ჯგუფის დაფუძნების დოკუმენტაციაში მითითებული კაპიტალის ნომინალურ ოდენობას.

ბ) დივიდენდები - გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია ჯგუფის მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, ჯგუფის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია ჯგუფის ნორმატიულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს სტანდარტების შესაბამისად.

12. მიღებული ავანსები

ჯგუფი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე ავანსად იღებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თვის საიჯარო მომსახურების ღირებულებას და საგარანტიოდ ერთი თვის საიჯარო მომსახურებას, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე ჯგუფმა ეს პოლიტიკა შეცვალა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსების ნაშთი შეადგენს 4 ათას ლარს (2021 წლის 31 დეკემბრის- 4 ათას ლარს).

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	377	115
საგარანტიო თანხები მომხმარებლების	144	223
დასაქმებულთა დარიცხული ვალდებულებები	69	56
წილის ღირებულება	20,178	18,363
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20,768	18,757

სავალუტო რისკების შესახებ იხილეთ შენიშვნა N 22.

14. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადსახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2020-2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

01 იანვარი	2021 წელი
წლის დასაწყისში არსებული საბიუჯეტო გადასახდელი	175
წლის განმავლობაში დარიცხული გადასახდელი	2,942
წლის განმავლობაში გადახდილი საგადასახადო ვალდებულება	(2,911)
2021 წლის 31 დეკემბრით არსებული ვალდებულება	206

01 იანვარი	2022 წელი
წლის დასაწყისში არსებული საბიუჯეტო გადასახდელი	206
წლის განმავლობაში დარიცხული გადასახდელი	3,070
წლის განმავლობაში გადახდილი საგადასახადო ვალდებულება	(3,025)
2022 წლის 31 დეკემბრით არსებული ვალდებულება	251

	2021 წელი
საგადასახადო ვალდებულებები	დარიცხული გადახდილი
მოგების გადასახადი	11 (10)
საშემოსავლო გადასახადი	266 (225)
დღგ	2,237 (2,207)
საპენსიო გადასახადი	27 (27)
ქონების გადასახადი	386 (427)
მიწის გადასახადი	15 (15)
სულ საგადასახადო ვალდებულებები	2,942 (2,911)

	2022 წელი
საგადასახადო ვალდებულებები	დარიცხული გადახდილი
მოგების გადასახადი	70 (53)
საშემოსავლო გადასახადი	305 (290)
დღგ	2,258 (2,262)
ქონების გადასახადი	422 (405)
მიწის გადასახადი	15 (15)
სულ საგადასახადო ვალდებულებები	3,070 (3,025)

15. ამონაგები

	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები საიჯარო მომსახურებიდან	14,659	14,285
ამონაგები	14,659	14,285

ჯგუფის შემოსავლები მთლიანად მიღებულია საიჯარო მომსახურებიდან და მათი აღიარება ხდება ყოველთვიურად. ჯგუფს არ გააჩნია საკონტრაქტო ვალდებულებები, რომელთა პირობებიც არ შეუსრულებია.

16. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები

	31.12.2022	31.12.2021
ცვეთის ხარჯი	(2,256)	(2,170)
დასაქმებულთა გასამრჯელოები	(1,451)	(1,318)
საგადასახადო ხარჯი, მოგების ხარჯის გარდა	(447)	(401)
კომუნალურის ხარჯი	(86)	(121)
შემენილი მომსახურება	(261)	(207)
დასუფთავების მოსაკრებლის ხარჯი	(222)	(110)
დაზღვევა	(91)	(93)
კომუნიკაციის ხარჯი	(19)	(48)
საწვავის ხარჯი	(20)	(19)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(29)	(14)
სულ ;	(4,882)	(4,501)

* საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა შეადგენს კუთვნილ ქონების და მიწის გადასახადს.

17. გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი

გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯს წარმოადგენს შემენილი სარეკლამო მომსახურების ხარჯი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 18 ათას ლარს (2021 წლის 31 დეკემბრის - 24 ათას ლარს).

18. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

	31.12.2022	31.12.2021
კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული შედეგი	(42)	(54)
საპროცენტო შემოსავალი*	630	61
შედეგი:	588	7

* ჯგუფს საბანკო ანგარიშზე დეპოზიტის სახით აქვს თანხა, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული აქვს საპროცენტო შემოსავალი. (საპროცენტო განაკვეთი -წლიური 12 %).

19. არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

	31.12.2022	31.12.2021
ძირითადი საშუალების გასვლის შედეგი	(32)	38
საკუთარი ელ. ენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	172	-
ჩამოწერილი სავაჭრო მოთხოვნების აღდგენა	50	24
Covid-19 დაკავშირებული ხარჯი	-	(26)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	52	-
სადაზღვევო ზარალის ანაზღაურება	55	-
სხვა ხარჯები	(72)	(10)
შედეგი:	225	26

20. მოგების გადასახადის ხარჯი

მიმდინარე მოგების გადასახადი დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან, რომლებიც იბეგრება ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის გაცემულ დივიდენდებზე.

21. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2022 წლის 31 დეკემბრის (2021 წლის 31 დეკემბრის) მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი შექმნილია და ასახულია უიმედო დებიტორულ დავალიანებაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. მათი მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფინანსური აქტივები	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,441	2,740
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	399	350
სულ ფინანსური აქტივები	7,840	3,090
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	590	394
წილის ღირებულება	20,178	18,363
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,768	18,757

კაპიტალის მართვის მიდგომა. ჯგუფის თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის

ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები. ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსულობის ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

➤ საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. ჯგუფს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

➤ სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. ჯგუფს მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც ჯგუფი აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი აქტივების/ვალდებულებების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებზე, ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფს გააჩნია პროცედურები, რომელთა მეშვეობით იგი უზრუნველყოფს, რომ მომსახურება გაეწიოს სათანადო საკრედიტო ისტორიის მომხმარებლებს და/ან ამოქმედდეს გადახდის ალტერნატიული პროცედურები (ავანსით გადახდა).

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის მიხედვით განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

სავაჭრო მოთხოვნები. საკრედიტო რისკის მიმართ ჯგუფის დამოკიდებულებაზე ძირითადად მოქმედებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ამასთან, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს ჯგუფის მომხმარებელთა დემოგრაფიულ მონაცემებს, იმ ქვეყნის რისკების ჩათვლით, რომლებშიც მომხმარებლები მოღვაწეობენ, რადგან ამ ფაქტორებმა შეიძლება გავლენა იქონიოს საკრედიტო რისკზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შექმნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება ჯგუფის სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზება. ჯგუფის განხილვა/შემოწმება მოიცავს ინფორმაციის ანალიზს გარე რესურსებიდან მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

ჯგუფის მომხმარებელთა 90%-ზე მეტს სამ წელზე მეტია საქმიანი ურთიერთობა აქვს ჯგუფთან და ზარალს იშვიათად ჰქონდა ადგილი. მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგისას მომხმარებლები დაჯგუფებულები არიან მათი საკრედიტო მახასიათებლების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ხანდაზმულობისა და ვადაგადაცილების ისტორიის, ასევე წინა პერიოდებში ფინანსური სირთულეების არსებობის მიხედვით. მისაღები ანგარიშები მიეკუთვნება ჯგუფის საბითუმო მომხმარებლებს. ჯგუფი არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

ჯგუფი განსაზღვრავს სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაუფასურების რეზერვს. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია მნიშვნელოვან ინდივიდუალურ აღმოჩენასთან დაკავშირებული სპეციფიკური ზარალი და მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის დადგენილი ზარალი, რომელიც დადგა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი. კოლექტიური ზარალის რეზერვი განისაზღვრება მსგავსი ფინანსური აქტივების სტატისტიკაზე დაყრდნობით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ვადაგადაცილებული თანხები, რომლებიც არ არიან გაუფასურებული კვლავ ამოღებადია, განვლილი წლების განმავლობაში გადახდების გამოცდილებაზე და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო მაჩვენებლებზე (ასეთების არსებობის შემთხვევაში) დაყრდნობით.

წლის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვში მოძრაობა იყო შემდეგი:

	31.12.2022	31.12.2021
ნაშთი წლის დასაწყისში	(177)	(201)
ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა	50	24
ნაშთი წლის ბოლოს	(127)	(177)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარის გამჟღავნებული ინფორმაცია

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ შევიდნენ გარიგებებში, რომელში შესვლაც არდაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ, და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება გაფორმდეს ისეთივე პირობებით და მოცულობებით როგორც არდაკავშირებულ მხარეებს შორის. ყველა დაკავშირებულ მხარესთან გარიგება, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ განხორციელდა კომერციულ საფუძველზე.

ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის კომპენსაციის შესახებ - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმება ის პირები, მათ შორის ნებისმიერი დირექტორი (აღმასრულებელი ან სხვა ფუნქციის შემსრულებელი), რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მინიჭებული აქვთ საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. კომპენსაცია მოიცავს დაქირავებულ პირთა ყველა გასამრჯელოს (რომლებიც განსაზღვრულია 28-ე განყოფილებით - „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო მოიცავს ნებისმიერი ფორმის ანაზღაურებას, რომელიც გადახდილია, გადასახდელია ან უზრუნველყოფილია საწარმოს მიერ, ან მისი სახელით (მაგალითად, მშობელი საწარმოს, ან აქციონერის მიერ), საწარმოსათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. გარდა ამისა, მოიცავს ისეთი სახის ანაზღაურებასაც, რომელიც გადაიხდება მოცემული საწარმოს მშობელი საწარმოს სახელით, საწარმოსთვის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობის შესახებ.

დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციების ნაშთები	31.12.2022	31.12.2021
მოკლევადიანი სარგებელი:		
ხელფასები	-	-
გაყიდვები	-	-
ხარჯად აღიარებული	-	-

დარიცხული ვალდებულება	31.12.2022	31.12.2021
ხელფასები	21	16

24. ბალანსის შემდგომი მოვლენები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2023 წლის 25 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

სს პსლ და კმლ

მმართველობითი ანგარიშგება

მენეჯმენტის ანგარიში - ბიზნესის მიმოხილვა 2022

1. ჯგუფის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა

სს პსლ და კმლ (შემდგომში „ჯგუფი“) დაფუძნებულია 2019 წლის 11 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. სს პსლ და კმლ შეიქმნა სააქციო საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

ჯგუფის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის გამზირი 2/9. საიდენტიფიკაციო კოდი: 400 279 337.

გენერალური დირექტორია პაატა კაჭარავა (პ/ნ 01013009523).

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მისი კუთვნილი ქონების საიჯარო მომსახურებას ადგილობრივ ბაზარზე.

შვილობილი კომპანიის შემოსავლების შემოღება სტაბილურია.

2. ჯგუფის სამომავლო გეგმები

2023 წელს ჯგუფის მთავარი მიზანი იქნება გაყიდვების მოცულობის ზრდა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგადი ზრდის გარდა ჩვენმა ჯგუფმა დაიწყო განახლებადი მწვანე ენერგიის დანერგვა. 2022 წელში დაინერგა განახლებადი ენერგიის მზის პანელები, რომლებიც წელიწადში 435700 კვტ. საათს გამოიმუშავენ.

2023 წლისთვის ჯგუფი გეგმავს დამატებითი 480000 კვტ. საათი მზის პანელების გაშვებას. ორგანიზაციის ჯამური მონაცემი იქნება წლიური 915700 კვტ. საათი.

3. ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევითი და საცდელი სამუშაოები

2022 წელს ჯგუფს კვლევითი და საცდელი სამუშაოები არ ჩატარებია.

4. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ

ჯგუფს ფილიალები არ აქვს.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

- I. **ურთიერთობა თანამშრომლებთან.** ჯგუფს გააჩნია მოწესრიგებული თანამშრომელთა შერჩევის პოლიტიკა და სამსახურში მიიღებიან მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატები.
- II. **ურთიერთობა მომწოდებელთან და კლიენტებთან.** ჯგუფს მტკიცე პროფესიული ურთიერთობა აკავშირებს კლიენტებთან და ხასიათდება კლიენტებზე მზრუნველი, ერთგული და მაღალი ხარისხის მომსახურებით.
- III. **ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან.** ჯგუფის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად იმართება. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტში დასაქმებულები არიან საგადასახადო კანონმდებლობაში გამოცდილი თანამშრომლები, რომლებიც, ჯგუფზე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობაში გათვითცნობიერების მიზნით, რეგულარულად ესწრებიან საქართველოში მოქმედი წამყვანი აუდიტორული კომპანიების მიერ ჩატარებულ საგადასახადო ტერნინგებს.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

2022 წელს ჯგუფს საკუთარი აქციების შესყიდვა არ განუხორციელებია.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტება

- ბაზარზე წამყვან პოზიციასა და ძლიერ ფინანსურ მაჩვენებლებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს:
 - მომსახურება და კლიენტების კმაყოფილება - როგორც უკვე აღინიშნა, ჯგუფის მენეჯმენტი დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა კვალიფიკაციას, რომელთაგან თითოეული კარგად მომზადებული პროფესიონალია.
 - საინვესტიციო ქონების მართვა - ჯგუფს მრავალი წელია ბაზარზე წამყვანი პოზიცია აქვს.

8. **ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა.**

- **საკრედიტო რისკი.** ჯგუფში ანგარიშწორება ხორციელდება ძირითადად უნაღდო ანგარიშსწორების სახით. მოთხოვნების ამოღების პრობლემა ჯგუფს არ უდგას.
- **ლიკვიდობის რისკი.** ლიკვიდობის რისკი წამოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფს გაუძნელდება ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდობის მართვის მიმართ გულისხმობს იმის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდობა ვადადამდგარი ვალდებულებების დასაფარად როგორც ჩვეულებრივ, აგრეთვე სტრესულ პირობებში და არ დასჭირდება მიუღებელი ზარალის გაწევა ან ჯგუფის რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენება.

ლიკვიდობის რისკის ფრთხილი მართვა გულისხმობს საკმარისი ოდენობის ნაღდი ფულის ქონასა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას გარანტირებული საკრედიტო საშუალებების რაოდენობის მეშვეობით.

ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, მოთხოვნების ამოღება შეუფარხებლად მიმდინარეობს.

9. **ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზნები და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა**

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

- **სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი არის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შეცვლის რისკი.
ჯგუფი მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.
- **პოლიტიკური რისკები.** არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მოთხოვნაზე, შემოსავალსა და მომგებიანობაზე. მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, მოვლენათა პოტენციური განვითარების პროგნოზისა და პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით.
- **მონაცემთა უსაფრთხოების რისკი.** ჯგუფში დიდი ინფორმაცია გროვდება დამკვეთების შესახებ (სახელები, მისამართები, საკრედიტო ბარათებზე ინფორმაცია და ა.შ). ჯგუფი დავალებათა ავტომატიზებისა და მონაცემთა მართვისათვის ციფრულ სისტემებს იყენებს, რაც მინიმუმამდე ამცირებს სისტემაში უკანონოდ შეღწევის პოტენციურ რისკს.
- **საბაზრო რისკი.** ჯგუფზე მოქმედებს საბაზრო რისკები, რომლებიც გამოწვეულია
(ა) უცხოურ ვალუტებში;

(ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში. მენეჯმენტს დაწესებული აქვს რისკის მისაღები ოდენობის ზღვარი, რომლის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება, ბოლომდე არ აღმოფხვრის ზარალს და ამ ლიმიტებს მიღმა ბაზრის ძლიერი მერყეობას.

- **საპროცენტო განაკვეთთა რისკი.** ჯგუფზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედი დონეების მერყეობის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ზემოქმედების გამო.

გენერალური დირექტორი: პაატა კაჭარავა

თარიღი: 25-09-2023 წ.

სს პსლ და კმლ

მმართველობითი ანგარიშგება

მენეჯმენტის ანგარიში – ბიზნესის მიმოხილვა 2022

1. ჯგუფის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა

სს პსლ და კმლ (შემდგომში „ჯგუფი“) დაფუძნებულია 2019 წლის 11 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. სს პსლ და კმლ შეიქმნა სააქციო საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

ჯგუფის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის გამზირი 2/9. საიდენტიფიკაციო კოდი: 400 279 337.

გენერალური დირექტორია პაატა კაჭარავა (პ/ნ 01013009523).

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მისი კუთვნილი ქონების საიჯარო მომსახურებას ადგილობრივ ბაზარზე.

შვილობილი კომპანიის შემოსავლების შემოღინება სტაბილურია.

2. ჯგუფის სამომავლო გეგმები

2023 წელს ჯგუფის მთავარი მიზანი იქნება გაყიდვების მოცულობის ზრდა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგადი ზრდის გარდა ჩვენმა ჯგუფმა დაიწყო განახლებადი მწვანე ენერგიის დანერგვა. 2022 წელში დაინერგა განახლებადი ენერგიის მზის პანელები, რომლებიც წელიწადში 435700 კვტ. საათს გამოიმუშავენ.

2023 წლისთვის ჯგუფი გეგმავს დამატებითი 480000 კვტ. საათი მზის პანელების გაშვებას. ორგანიზაციის ჯამური მონაცემი იქნება წლიური 915700 კვტ. საათი.

3. ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევითი და საცდელი სამუშაოები

2022 წელს ჯგუფს კვლევითი და საცდელი სამუშაოები არ ჩატარებია.

4. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ

ჯგუფს ფილიალები არ აქვს.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

- I. ურთიერთობა თანამშრომლებთან. ჯგუფს გააჩნია მოწესრიგებული თანამშრომელთა შერჩევის პოლიტიკა და სამსახურში მიიღებიან მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატები.
- II. ურთიერთობა მომწოდებელთან და კლიენტებთან. ჯგუფს მტკიცე პროფესიული ურთიერთობა აკავშირებს კლიენტებთან და ხასიათდება კლიენტებზე მზრუნველი, ერთგული და მაღალი ხარისხის მომსახურებით.
- III. ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან. ჯგუფის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად იმართება. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტში დასაქმებულები არიან საგადასახადო კანონმდებლობაში გამოცდილი თანამშრომლები, რომლებიც, ჯგუფზე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობაში გათვითცნობიერების მიზნით, რეგულარულად ესწრებიან საქართველოში მოქმედი წამყვანი აუდიტორული კომპანიების მიერ ჩატარებულ საგადასახადო ტერმინებს.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

2022 წელს ჯგუფს საკუთარი აქციების შესყიდვა არ განუხორციელებია.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტება

- ბაზარზე წამყვან პოზიციასა და ძლიერ ფინანსურ მაჩვენებლებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს:
 - მომსახურება და კლიენტების კმაყოფილება - როგორც უკვე აღინიშნა, ჯგუფის მენეჯმენტი დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა კვალიფიკაციას, რომელთაგან თითოეული კარგად მომზადებული პროფესიონალია.
 - საინვესტიციო ქონების მართვა - ჯგუფს მრავალი წელია ბაზარზე წამყვანი პოზიცია აქვს.

8. **ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა.**

- **საკრედიტო რისკი.** ჯგუფში ანგარიშწორება ხორციელდება ძირითადად უნაღლო ანგარიშსწორების სახით. მოთხოვნების ამოღების პრობლემა ჯგუფს არ უდგას.
- **ლიკვიდობის რისკი.** ლიკვიდობის რისკი წამოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფს გაუძნელდება ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდობის მართვის მიმართ გულისხმობს იმის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდობა ვადადამდგარი ვალდებულებების დასაფარად როგორც ჩვეულებრივ, აგრეთვე სტრესულ პირობებში და არ დასჭირდება მიუღებელი ზარალის გაწევა ან ჯგუფის რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენება.
ლიკვიდობის რისკის ფრთხილი მართვა გულისხმობს საკმარისი ოდენობის ნაღდი ფულის ქონასა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას გარანტირებული საკრედიტო საშუალებების რაოდენობის მეშვეობით.
ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, მოთხოვნების ამოღება შეუფარხებლად მიმდინარეობს.

9. **ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზნები და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა**

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

- **სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი არის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შეცვლის რისკი.
ჯგუფი მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.
- **პოლიტიკური რისკები.** არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მოთხოვნაზე, შემოსავალსა და მომგებიანობაზე. მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, მოვლენათა პოტენციური განვითარების პროგნოზისა და პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით.
- **მონაცემთა უსაფრთხოების რისკი.** ჯგუფში დიდი ინფორმაცია გროვდება დამკვეთების შესახებ (სახელები, მისამართები, საკრედიტო ბარათებზე ინფორმაცია და ა.შ). ჯგუფი დავალებათა ავტომატიზებისა და მონაცემთა მართვისათვის ციფრულ სისტემებს იყენებს, რაც მინიმუმამდე ამცირებს სისტემაში უკანონოდ შეღწევის პოტენციურ რისკს.
- **საბაზრო რისკი.** ჯგუფზე მოქმედებს საბაზრო რისკები, რომლებიც გამოწვეულია
(ა) უცხოურ ვალუტებში;

(ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში. მენეჯმენტს დაწესებული აქვს რისკის მისაღები ოდენობის ზღვარი, რომლის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება, ბოლომდე არ აღმოფხვრის ზარალს და ამ ლიმიტებს მიღმა ბაზრის ძლიერი მერყეობას.

- საპროცენტო განაკვეთთა რისკი. ჯგუფზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედი დონეების მერყეობის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ზემოქმედების გამო.

გენერალური დირექტორი: პაატა კაჭარავა



თარიღი: 25-09-2023 წ.